დადგენილება:**დ-87. 8724157001**
თარიღი:**05/06/2024**

დადგენილება N 10

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის, ,,საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 05 დეკემბრის N667 დადგენილების მე-2 მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების დანართით დამტკიცებული მარშრუტების შესაბამისად, ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები

მარშრუტის N	ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები	მარშრუტის მართულება	ავტობუსების (M3 კატეგორია ყოველდღიური რაოდენობა)
1	ქალაქი ახმეტა - სოფელი ქისტაური - სოფელი ახშანი - სოფელი ჩაბინაანი - სოფელი ზემო ხოდაშენი - სოფელი ოჟიო - სოფელი კოღოთო- სოფელი ალავერდი - სოფელი ქვემო ალვანი - სოფელი ზემო ალვანი- ქალაქი ახმეტა	წრიული	2
2	ქალაქი ახმეტა - სოფელი ზემო ალვანი - სოფელი ქვემო ალვანი - სოფელი ალავერდი - სოფელი კოღოთო, სოფელი ოჟიო - სოფელი ზემო ხოდაშენი - სოფელი ჩაბინაანი - სოფელი ახშანი - სოფელი ქისტაური - ქალაქი ახმეტა	წრიული	2
3	ქალაქი ახმეტა - სოფელი მატანი - სოფელი კუწახტა -		

	სოფელი ყვარელწყალი - სოფელი დუისი - სოფელი ჯოყოლო - სოფელი ბირკიანი - სოფელი ძიბახევი	მიმართულება	2
4	სოფელი ძიბახევი- სოფელი ბირკიანი- სოფელი ჯოყოლო- სოფელი დუისი- სოფელი ყვარელწყალი- სოფელი კუწახტა- სოფელი მატანი- ქალაქი ახმეტა	უკუმიმართულება	2
5	ქალაქი ახმეტა - სოფელი მატანი - სოფელი კუწახტა - სოფელი ქვემო ხალაწანი - სოფელი დუმასტური - სოფელი ომალო	მიმართულება	1
6	სოფელი ომალო - სოფელი დუმასტური - სოფელი ქვემო ხალაწანი - სოფელი კუწახტა - სოფელი მატანი - ქალაქი ახმეტა	უკუმიმართულება	1
7	ქალაქი ახმეტა- სოფელი მატანი	მიმართულება	4
8	სოფელი მატანი-- ქალაქი ახმეტა	უკუმიმართულება	4